



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N13

ქ. მარნეული

07.08.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, მაილ მიქიევი, გივი ქველაძე, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ მუსაევი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი.

**არ ესწრებოდა:**

- ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი, ჯომგუნ ზეინალოვი, ბესიკ გუჯეჯიანი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი.

**სხდომას ესწრებოდა**

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი დავით ხარშილაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორი ბადრი ქველაძე, შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორის მოადგილე ალექსი მამუკაშვილი, შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს დირექტორი თინა დარბაიძე, ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს დირექტორი ლერი მულაძე.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:** „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“-ს შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“-ს შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8137 წერილის განხილვის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8178 წერილის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8179 წერილის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8258 წერილის განხილვის შესახებ.

8. სკ მარნეულის დელტას 2017 წლის 18 ივლისის წერილის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 აგვისტოს N03/9425 წერილის განხილვის შესახებ.

11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 აგვისტოს N03/9422 წერილის განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯომგუნ ზეინალოვის განცხადება (რეგ.N229/05. 01.08.2017 წ), რომელიც 2017 წლის 01 აგვისტოს დაინიშნა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსად, რის გამოც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მას უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს ასევე გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ზურაბ ჭონიაშვილის განცხადება, რომელმაც დატოვა ფრაქცია „ქართული ოცნება“ და გადავიდა „ქართული ოცნება – მრეწველები“-ს ფრაქციაში, რაც საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი შუკაკიძის განცხადება (რეგ.N216/05. 17.07.2017 წ), რომელმაც 2017 წლის 17 ივლისის პირადი განცხადების საფუძველზე მოიხსნა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, რის გამოც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით, მას უწყდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილება განცხადების

რეგისტრაციიდან მეორე დღეს და ამავე კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად უქმდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ნაციონალები“ 2017 წლის 18 ივლისიდან, რაც საკრებულოს მიერ მიღებული იქნა ცნობად.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ და გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N26. 07.08.2017 წ)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 6 ივლისის N03/8137 წერილით შემოსული შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ბიუჯეტი და სამტატო განრიგი, რის გამოც იზრდება სუბსიდი 32,8 ათასი ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N61. 07.08.2017 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8178 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეული“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგი იმის გათვალისწინებით, რომ გაიზარდა სამუშაოების მოცულობა და დაემატა დამტატო-კირიხლო, ახკულა-წერაქვი და მაგისტრალის ბაიდარი-კესალოს და საბირკენდი-აზიზკენტის მონაკვეთი, საჭირო გახდა სუბსიდიის 54 ათასი ლარით გაზრდა და შტატების დამატება: სპეცავტომანქანების მძღლის -2 და მტვირთავი მუშის - 6 სამტატო ერთეული.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N62. 07.08.2017 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 ივლისის N03/8179 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. „სპორტული სკოლა“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და სამტატო განრიგირაც გამოწვეულის იმით, რომ ხდება შიდა ცვლილება: აკლდება 2160 ლარი თანამდებობრივ სარგოს, 10 ათასი ლარი პრემიის ფონდს, 2 340 ლარი სხვა ხარჯების მუხლს და აღნიშნული გამონთავისუფლებული თანხებიდან 4 000 ლარი ემატება მივლინების, 4 500 ლარი ოფისის ხარჯების, 6 000 ლარი რბილი ინვენტარის და უნიფორმების ხარჯების მუხლს. ასევე ითხოვენ სუბსიდიის გაზრდას 20 000 ლარით საბავშვო ძიუდოსა ტატამის კომპლექტისა და წვრთნის პროცესისათვის აუცილებელი ინვენტარის შესაძენად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N60. 07.08.2017 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 ივლისის N03/8258 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა რათა დამტკიცდეს შ.პ.ს. „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

და საშტატო განრიგი, რაც გამოწვეულის იმით, რომ ემატება ორი თანამშრომელი და ითხოვენ სუბსიდიდ დამატებას 10 ათასი ლარის ოდენობით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N63. 07.08.2017 წ.).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკალათბურთო გუნდი „დელტა“-ს 2017 წლის 18 ივლისის წერილი, რომლის მიხედვით გუნდი გადავიდა უმაღლეს ლიგაში, რაც მოითხოვს განსაკუთრებულ მხარდაჭერას, მათ შორის ფინანსურ რესურსაც და ითხოვენ 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში გამოყოფილი იქნეს შესაბამისი თანხა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და გამოითქვა აზრი საკითხი საოქმო დავალებასთან ერთად გადაიგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში 2018 წლის ბიუჯეტში მის გასათვალისწინებლად საჭირო ქმედებების განსახორციელებლად.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, სოფელ ყიზილ-აჯლოში მდებარე გამგებლის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 460,06 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი N83.01.04.579) 396,81 კვ.მ. ფართი (სარდაფი – 133,65 კვ.მ., I სართული – 112,58 კვ.მ., II სართული – 133,65 კვ.მ.) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N66. 07.08.2017 წ.).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 აგვისტოს N03/9425 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ დამტკიცდეს მიწის ნაკვეთების მორწყვის ტარიფი. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირება მოითხოვს საკითხის ღრმად შესწავლას სპეციალისტების მონაწილეობით და კონსულტაციებს მელიორაციის დეპარტამენტთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან. გამგებლის მოადგილემ თეიმურაზ ბერიძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე აუცილებელია გამოინახოს გზა საკითხის დასარეგულირებლად, ვინაიდან მოსალოება გვალვიან დღეებში არ დარჩეს სარწყავი წყლის გარეშე და არ შეექმნას პროდუქციის მოყვანის პრობლემა, რის გამოც საკრებულოს წევრებმა მიიღეს ფადაწყვეტილება ამ საკითხის დარეგულირება მოხდეს ერთჯერადად, მხოლოდ 2017 წლის სარწყავი სეზონის დასრულებამდე და მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, სამოქალაქო კოდექსის და სხვა სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს მონაწილეობით უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის ქესალო II –ს სატუმბი სადგურის მემპეობით მოსახლეობის სარწყავი წყლით მომარაგება და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად გაწეული მომსახურეობის საფასურის ამოღებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების გატარება.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N64. 07.08.2017 წ.).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ბურნაძე არ ესწრებოდა სხდომას, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭორიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 7 აგვისტოს N03/9422 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიების/საარჩევნო სუბიექტების პლაკატების გაკვრის/გამოფენის ჩამონათვალის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N65. 07.08.2017 წ.).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა ნინო ბერიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის და საშტატო ნუსხის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N25. 07.08.2017 წ.).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეცამეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი